

**„მონურად თარგმნის“ ტენდენციის შესახებ  
თანამედროვე ქართულში  
The Tendency of “Slavish Translation”  
in Modern Georgian**

**სალომე ომიადე  
Salome Omiadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ბარბარიზმები, კალკები, ენის სინმიხდე,  
ქართული დისკურსი, ეროვნული მენტალიტეტი.

**Keywords:** barbarisms, loan-translations, the purity of language, Georgian  
discourse, national mentality.

აკადემიკოს ვარლამ თოფურიას მდიდარსა და მრავალფეროვან მეცნიერულ მემკვიდრეობაში გამორჩეული მნიშვნელობისაა ის შრომები, რომლებიც ქართული ენის სინამდის დაცვას, ქართული მეტყველების კულტურას, როგორც ერის ზოგადი კულტურის შემქმნელ-შემადგენელს, ეძღვნება. აღნიშნულ შრომებში მეცნიერი განიხილავს სხვა ენათაგან სესხებას, როგორც უნივერსალურ მოვლენასა და მსესხებელი ენის გამდიდრების ერთ-ერთ საშუალებას, თუმცა ერთმანეთისაგან მიჯნავს საჭიროსა და გაუმართლებელ გადმოტანას, კულტურულ ურთიერთობათა ამსახველსა და დამპყრობელთა ძალმომრეობის შედეგად თავსმოხვეულ უცხო ლექსიკას. იგი საგანგებო ყურადღებას უთმობს კალკირებას, როგორც ენის ბუნებისათვის საზიანო ქმედებას. აღნიშნავს, რომ უცხოური სიტყვა მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როცა საკუთარი არ მოგვეპოვება, თარგმნითაც მხოლოდ მაშინ უნდა ვთარგმნოთ, თუ ეს გამოსახატავი მნიშვნელობის ადვილად და უკეთ გაგებას ემსახურება. თარგმნასთან დაკავშირებით მეცნიერი დასძენს: „უნდა ვეცადოთ – **მონუხად კი ახ ვთახგნოთ, ახამედ გადმოვცეთ ქახთუღის ბუნების შესაბამისად, თანაც საჭიროების მიხედვით**“ (თოფურია, 1965, გვ. 64).

დასახელებულ შრომებში ვ. თოფურია გასული საუკუნის შუა წლების ენობრივ ტენდენციებს განიხილავს. იმდროინდელი ვითარებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ უცხო ენათა გავლენებზე საუბრისას მეცნიერი რუსულიდან ქართულში შემოსულ სიტყვაფორმებსა თუ კალკირებულ შესიტყვებებს („სახეზეა“ < налицо; „ძირითადაში“ < в основном; „გაუფრთხილდით ავტომობილს“ < берегись автомобиля და სხვ.) აანალიზებს. თანამედროვე ქართულში ამ მხრივ ის შეიცვალა, რომ რუსული ინგლისურმა ჩაანაცვლა და თანაც უფრო ფართოდ – ახლად შემოსული თითქმის ყველა უცხო სიტყვა ინგლისურია, ინგლისური ენის გავლენა ძალუმად იგრძნობა ენის ყველა დონეზე. მოჭარბებულია ბარბარიზმები („აფილირებული“ < affiliated, „ბორდერიზაცია“ < borderisation, „დედლა-

ინი“ < deadline, „ევალუაცია“ < evaluation, „ვიზიტორი“ < visitor, „იმპლემენტაცია“ < implementation, „ინსპირაცია“ < inspiration ...), დღითი დღე იზრდება კალკირებულ ფორმათა და სინტაგმათა რიცხვი („კომუნიკაციის ქონა“ < to have communication, „გონებრივი იერიში“ < brainstorming და მისთ.). მაგალითად, ინგლისური სიტყვები girlfriend და boyfriend ბარბარიზმის ორი ნაირსახეობით არის შემოსული, ესენია ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის გზით მიღებული „გე(რ)ლფრენდი“ და „ბოიფრენდი“ და ზედმიწევნით თარგმნის შედეგად, კომპონენტთა გადაადგილებით შექმნილი კალკირებული სინტაგმები „მეგობარი გოგო“ და „მეგობარი ბიჭი“. გვხვდება ნაწილობრივი კალკირების მაგალითებიც, როდესაც უცხოენოვანი შესიტყვების ერთი წევრი უცხო გრაფემებით არის გადმოცემული და ქართულად ნათარგმნ მეორე წევრს ხან დეფისით უკავშირდება, ხან – უდეფისოდ: IT Department – „IT-განყოფილება“ / „IT განყოფილება“; VIP Service – „VIP-მომსახურება“ / „VIP მომსახურება“.

დღევანდელ ქართულ დისკურსზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ინგლისური სიტყვები უმეტესად საჭიროების გარეშე შემოგვაქვს, „მონურად თარგმნას“ პასიური კონსტრუქციების მოჭარბება მოსდევს, რის გამოც ჩვენი ენა თანდათან კარგავს თავის ბუნებას. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი შემდეგია: უცხოენობრივი მასალა ქართული ენის ნორმებისა და სოციალური მოთხოვნების გაუთვალისწინებლად ხვდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მათ შორის სოციალურ მედიაში, სარეკლამო ტექსტებში, საიდანაც იგი ძალიან სწრაფად და ფართოდ ვრცელდება. ამდენად, მეტი პასუხისმგებლობა მართებთ არა მარტო ჟურნალისტებს, რომლებიც ნათარგმნი ტექსტების გაუმართაობას დროის სიმცირეს მიაწერენ, არამედ ენის რიგითს მატარებლებსაც, რომლებიც დაუფიქრებლად იწონებენ და ავრცელებენ უცხო სიტყვებსა თუ ფრაზეოლოგიურ კალკებს, რითიც მოხმარების არეს უზღუდავენ და ზოგჯერ ასპარეზსაც კი აკარგვინებენ შესაბამის დედაენობრივ ერთეულებს.

უცხო სიტყვათა ხმარებას სიფრთხილით იმიტომაც უნდა მოვეკიდოთ, რომ განხილული ტენდენცია მეტყველების კულტურის სფეროს სცილდება. უცხო სიტყვები არა მარტო ჩვენს მეტყველებაში იმკვიდრებენ ადგილს, არამედ ჩვენს ლინგვოკულტურულ სივრცეს იპყრობენ. მათ უცხო მენტალობები მოჰყვება თან, რამაც შეიძლება ეროვნული მენტალიტეტის რღვევაც კი გამოიწვიოს (ომიაძე, 2009, გვ. 166-178).

#### **ლიტერატურა:**

- თოფურია, ვ. (1964). ქართული ენის სინმინდის დაცვისათვის, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- თოფურია, ვ. (1965). ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი: „ნაკადული“.
- ომიაძე, ს. (2009). ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბილისი.

Academician Varlam Topuria has left rich and diverse scientific heritage. Special mention should be made of his works dedicated to the purity of the Georgian language and the culture of Georgian speech, which forms part of Georgian culture in general. In the above-mentioned works, the scholar focuses on the issue of borrowing as a universal phenomenon and a way of enriching the borrower language. However, he makes a distinction between justified and unjustified borrowings. According to him, loan-words either reflect cultural relations or are imposed on the language as a result of violence of the invaders. In his works, special focus is made on calques which are harmful for the nature of language. V. Topuria notes that we should use a foreign word in case of absence of a proper equivalent in the native language. Loan-translations should also serve better understanding of the meaning expressed by the foreign word. The scholar notes: *“Translation **should not be slavish**; translation should correspond to the nature of the*

*Georgian language and should be applied according to the needs*" (Topuria, 1965, p. 64).

In the above-mentioned works, V. Topuria describes the tendencies widespread in the middle of the 20<sup>th</sup> century. Taking into account the political situation of the given period, it is natural that the scholar mostly focuses on the influence of the Russian language and analyzes Russian loan-translations and barbarisms („sakhezea“ < налицо (is present, is vivid); „dziritadshi“ < в основном (mostly, chiefly); „gauprthkildit avtomobilis“ < берегись автомобиля (take care of the automobile) etc.). In modern Georgian, the Russian influence has been replaced by the influence of English. This influence is much more intense: new words are almost always English, and the influence of the English language is vivid on each level of the language. There is an excessive amount of barbarisms („apilirebuli“ < affiliated, „borderizatsia“ < borderisation, „dedlaini“ < deadline, „evaluatsia“ < evaluation, „vizitori“ < visitor, „implementatsia“ < implementation, „inspiratsia“ < inspiration ...). The number of calque forms and syntagmas increases on daily basis („komunikatsiis qona“ < to have communication, „gonebrivi ierishi“ < brainstorming and so on). For instance, the English words *girl-friend* and *boy-friend* have penetrated into Georgian as two types of barbarisms: “gerlprendi” and “boiprendi”, obtained by means of transliteration-transcription, and calque syntagmas “megobari gogo” and “megobari bichi”, obtained by means of exact translation with inversed components. There are also examples of partial calques, when one member of a foreign collocation is represented by a foreign grapheme and the other member is translated into Georgian. The two members are either hyphenated or written together: IT Department – „IT-gankopileba“ / „IT gankopileba“; VIP Service – „VIP-momsakhureba“ / „VIP momsakhureba“.

Observation of modern Georgian discourse proves that the English words are mostly borrowed without necessity. “Slavish translation” is accompanied by the abundance of passive constructions. Due to this, our language gradually loses its original nature. One of

the reasons for the above-mentioned is this: without consideration of Georgian language norms and social requirements, foreign language material is used by mass media, social media and advertising, thus becoming rapidly widespread. Therefore, more responsibility should be taken by the journalists, who justify the shortcomings of translated texts by the lack of time. Ordinary speakers of Georgian, who spread foreign words and phraseological units, thus restricting the usage of corresponding native lexemes, should take into account the grave impact of this phenomenon on their native language.

We should treat the usage of foreign words with great care, because the above-mentioned tendency goes far beyond the culture of speech. Foreign words become widespread not only in our everyday speech but also in our linguocultural space. All this eventually leads to the change in the national mentality (Omiadze, 2009, pp.166-178).

#### **References:**

- Topuria, V. (1964). kartuli enis sitsmindis datsvisatvis [On the Preservation of the Purity of the Georgian Language]. Tbilisi: "Sabchota Sakartvelo".
- Topuria, V. (1965). kartuli ena da martltseris zogierti sakitkhi [The Georgian Language and Certain Spelling Issues]. Tbilisi: "Nakaduli".
- Omiadze, S. (2009). kartuli diskursis kulturologiuri paradigma [The Culturological Paradigm of the Georgian Discourse]. Tbilisi.